

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №17

აბაშა, 2024 წლის 22 ოქტომბერი

აბაშა, 2024 წლის 22 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ: გელა ხოშტარია, ნანა შენგელია, კონსტანტინე კუჭუხიძე, როინი კაჭარავა, დარეჯან ვადაჭკორია, პროკოფი ნიკურაძე, ზეზვა მაკალათია, ტატიანა ხოშტარია, დავით ცანავა, დიმიტრი ვერულაშვილი, დავით გუნია, ბაქარ შელია, ზაზა ალასანია, მურთაზ ჯალაღონია, იაგო თოდუა, გია კუცია, შოთა ჭანტურაია, მეგული ჩოჩია და კოკი ჩაჩავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თ. ნოდია, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსი შ. დარცმელიძე, ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი გ. ლომთაძე და შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჟ. მიმინოშვილი.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ოქტომბრის მორიგი №17 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

3. მიხეილ დარცმელიძის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

4. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. თ ნოდია

5. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. შ. დარცმელიძე

6. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ.ლომთაძე

7. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ჟ. მიმინოშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომაზე დამსწრეთ განუმარტა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, რომ მიმდინარეობს სხდომის ფოტოგადაღება, ფოტოსურათები გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე, რაც ეხება სხდომაზე დამსწრე არათანამდებობის პირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომაზე დამსწრე პირებს წინააღმდეგობა არ გამოუთქვამთ.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ოქტომბრის მორიგი №17 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ოქტომბრის მორიგი №17 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ოქტომბრის მორიგი №17 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 19- მა წევრმა.

წინააღმდეგი 0.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №66 (თან ერთვის)

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარიამ საკრებულოს წევრებს გააცნო მერაბ მელიას 2024 წლის 16 ოქტომბრის განცხადება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე. განმარტა, რომ მას უფლებამოსილება შეუწყდა განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან 2024 წლის 17 ოქტომბრიდან.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო მერაბ მელიას საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია.

მოისმინეს:

მიხეილ დარცმელიძის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო, საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო №63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 19 ოქტომბრის განკარგულება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის მერაბ მელიას ადგილმონაცვლედ მიხეილ დარცმელიძის ცნობის შესახებ. განმარტა, რომ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი ადგილმონაცვლეობის ცნობის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემიდან მე-14 დღიდან, რაც შესაბამის საკრებულოს ეცნობება. ეს ვადა აითვლება 2024 წლის 20 ოქტომბრიდან. მიხეილ დარცმელიძის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება დაიწყება 2024 წლის 2 ნოემბრიდან.

საკრებულომ ცნობად მიიღო მიხეილ დარცმელიძის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების 2024 წლის 2 ნოემბრიდან ცნობის შესახებ ინფორმაცია.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. თ. ნოდია

მომხსენებელმა თ. ნოდამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 19-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №67 (თან ერთვის)

5

მოსმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. შ. დარცმელიძე

მომხსენებელმა შ. დარცმელიძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: გ. ხოშტარიამ.

საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კ. კუჭუხიძემ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 19-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №68 (თან ერთვის)

6

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ.ლომთაძე

მომხსენებელმა გ. ლომთაძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: გ. ხოშტარიამ.

საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გ. კუციამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 19-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №69 (თან ერთვის)

7

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ჟ. მიმინოშვილი

მომხსენებელმა ჟ. მიმინოშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: გ. ხოშტარია.

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარიამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 19-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №70 (თან ერთვის)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:



გ. ხოშტარია